ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8

2012 წლის 13 თებერვალი

ქ. ნინოწმინდა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის და ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები თანახმად დანართისა.

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 სექტემბრის №25 დადგენილება ,,ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“. (სსმ V, 24.09.2010, მუხლი 845).

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ვ. სტამბოლციანი

დანართი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანამდებობრივი სარგო
1	ხელმძღვანელობა	
	გამგებელი	2360
	გამგებლის მოადგილე	900
2	ადმინისტრაციული სამსახური	
	სამსახურის უფროსი	700
	გამგებლის თანაშემწე	450
	მთავარი სპეციალისტი	420
	სპეციალისტი	420
3	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური	
	სამსახურის უფროსი	700

	სახაზინო განყოფილების უფროსი	500
	მთავარი სპეციალისტი	420
4	ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური	
	სამსახურის უფროსი	700
	მთავარი სპეციალისტი	420
5	განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	
	სამსახურის უფროსი	700
	მთავარი სპეციალისტი	420
6	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
	სამსახურის უფროსი	700
	მთავარი სპეციალისტი	420
7	სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური	
	სამსახურის უფროსი	700
	მთავარი სპეციალისტი	420
8	თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოები	
	თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული – ნინოწმინდის, ფოკის, განძის, სათხის, გორელოვკის, დიდი ხანჩალის, კონდურის, ჰეშტიის და ჯიგრაშენის ტერიტორიულ ორგანოებში.	700
	თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ტამბოვკის ტერიტორიულ ორგანოში	600
	მთავარი სპეციალისტი	420
9	სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური	
	სამსახურის უფროსი	700
	მთავარი სპეციალისტი	260
	უფროსი სპეციალისტი	240
	სპეციალისტი	180
10	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	
	სამსახურის უფროსი	700
	მთავარი სპეციალისტი	420